სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/49

ქ. თბილისი 25 სექტემბერი 2025

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის №01-05-04/154 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 25 სექტემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. განხორციელდეს უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის და აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის რეორგანიზაცია და მათ ბაზაზე შეიქმნას აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი;
2. განხორციელდეს უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის და სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის რეორგანიზაცია და მათ ბაზაზე შეიქმნას სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი;
3. დამტკიცდეს აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის და სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დებულებები;
4. დამტკიცდეს აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის და სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა;
5. დადგენილება ძალაში შევიდეს ამა წლის 2 ოქტომბრიდან;
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**